## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №111/ნ
## 2016 წლის 5 სექტემბერი

## ქ. თბილისი

### პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „$ნ^1$“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*

**მუხლი 1**
პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
**მუხლი 2**
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — ალექსანდრე ჯეჯელავა

დანართი

### პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. რეგულირების საგანი**
პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის მიღების, ასევე სტუდენტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძვლებს, წესსა და პირობებს.
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**
ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამავე წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) აპლიკანტი – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო/სამხედრო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იმ საგნის გამოცდა, რომელიც განისაზღვრება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

ბ) მასწავლებელი – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო

პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

დ) საგნის გამოცდა – „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესით“ გათვალისწინებული საგნის გამოცდა, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად აპლიკანტი მოიპოვებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე გასვლის უფლებას;

დ[1]) (ამოღებულია - 18.10.2023, №97/ნ);

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა – გამოცდა, რომლის საფუძველზეც აპლიკანტი ჩაირიცხება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველი**
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია:
ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 3[1]. სტუდენტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველი**
საგნის გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების გარეშე, სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მას დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

## თავი II
## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის მიღება
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის გამოცხადება**
1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წლის 1 თებერვლიდან 15 თებერვლამდე აცხადებს აპლიკანტთა მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) სპეციალური პროგრამის გამოყენებით.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სპეციალურ პროგრამაში ასახული ინფორმაციის სისწორე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, სპეციალურ პროგრამაში არსებული ღილაკის მეშვეობით, დადასტურებული იქნება მართვის სისტემის მიერ.

3.სპეციალურ პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების:

ა.ა) სამართლებრივი ფორმა და სრული სახელწოდება;

ა.ბ) იურიდიული მისამართი და პროგრამის განხორციელების ადგილი;

ა.გ) ვებგვერდის მისამართი;

ა.დ) საკონტაქტო პირ(ებ)ის ვინაობა მათი ტელეფონების მითითებით;

ბ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მიზანი და სწავლის შედეგი;

გ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში;

დ) ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

ე) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების ჯამური რაოდენობა და ამ ადგილების განაწილება, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობა, „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესით“ გათვალისწინებული თითოეული საგნის მიხედვით ცალ-ცალკე;

ვ) სწავლის საფასური;

ზ) „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესით“ განსაზღვრული საგანი, რომელშიც პირს წარმატებით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული გამოცდა;

თ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა;

ი) სწავლების ენა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

კ) აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები;

ლ) (ამოღებულია - 18.10.2023, №97/ნ);

3[1]. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით, ასევე „ვ“ (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების რაოდენობისა), „ზ“ და ,,ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია სპეციალურ პროგრამაში შეიტანება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, ხოლო მე-3 პუნქტით განსაზღვრული სხვა ინფორმაციის ასახვას უზრუნველყოფს მართვის სისტემა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნის გამოცდა განისაზღვრება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულ(ებ)ის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან/და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

5. „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესით“ გათვალისწინებული თითოეული საგნის მიხედვით განსაზღვრული ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეცვალოს თითოეული საგნის მიხედვით განსაზღვრული ადგილების რაოდენობა ისე, რომ არ შეიცვალოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების ჯამური რაოდენობა;

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამის წელს ვერ ჩარიცხავს აპლიკანტებს, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში არ შეავსებს სპეციალურ პროგრამას.

7. სპეციალური პროგრამის საფუძველზე, მართვის სისტემა ამუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემებს ელექტრონულად.

8. მართვის სისტემა ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სპეციალური პროგრამის მეშვეობით დადასტურებულ ინფორმაციას განათავსებს მართვის სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის ბრძანება №147/ნ - ვებგვერდი, 15.07.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა**
1. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, აპლიკანტი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, გადის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავად ადგენს მის მიერ განსაზღვრული გამოცდის შინაარსს, ჩატარების ფორმასა და გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადებასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 6. რანჟირების დოკუმენტი**
1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ქმნის რანჟირების დოკუმენტს.
2. რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირი.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად.

4. თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აპლიკანტს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

**მუხლი 7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა**
1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.
2. აპლიკანტთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის ან სახელოვნებო/სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აპლიკანტის ჩარიცხვა ფორმდება, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და აპლიკანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც იმავე წლის 5 ოქტომბრამდე იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. რექტორის ერთიან აქტში მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესით“ გათვალისწინებული საგანი, რომელიც წარმატებით ჩააბარა აპლიკანტმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მართვის სისტემაში, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, შესაბამისი წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს ჩარიცხული პირების შესახებ შემდეგ ინფორმაციას, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი;

ბ) საგამოცდო (სსიპ – შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი) ნომერი;

გ) ჩაბარებული საგანი საფეხურის მითითებით;

დ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამის მოდული საფეხურის მითითებით;

ე) პროგრამის/მოდულის საფასური;

ვ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა;

ზ) პროგრამაზე/მოდულზე ჩარიცხვის ბრძანების თარიღი;

თ) პროგრამაზე/მოდულზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი;

ი) არის თუ არა პირი გათვალისწინებული დაწესებულების მიერ დასაფინანსებელთა რაოდენობაში (დიახ/არა);

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება;

ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთნიშნა უნიკალური კოდი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით.

5[1]. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების შემდგომ, მართვის სისტემა ამოწმებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების მიერ ჩაბარებული საგნის შესახებ ინფორმაციას სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, რომელიც ვალდებულია, მართვის სისტემას, მიაწოდოს ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირს აქვს თუ არა ჩაბარებული საგნის გამოცდა ან დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია (დიახ/არა), ჩაბარებული საგნის დასახელება და საგამოცდო (სსიპ – შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი) ნომერი.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გამოცემის შემდეგ პირი ირიცხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის ბრძანება №147/ნ - ვებგვერდი, 15.07.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის ბრძანება №55/ნ - ვებგვერდი, 30.07.2021წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 იანვრის ბრძანება №19/ნ - ვებგვერდი, 17.01.2024 წ.*

**მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა**

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებად განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების საფუძველია: პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.

3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი, არ განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი, დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №124/ნ - ვებგვერდი, 14.12.2022 წ.*

**მუხლი 8[1]. სპეციალურ პროგრამაში არსებული მონაცემების კონფიდენციალობა და შენახვის ვადა**

მართვის სისტემის სპეციალური პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს და მასზე ვრცელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" მე-14 მუხლით განსაზღვრული წესები სისტემის უსაფრთხოებასთან, სისტემაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და სისტემაში ინფორმაციის შენახვის ვადასთან დაკავშირებით.
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №97/ნ - ვებგვერდი, 19.10.2023წ.*

## თავი III
## გარდამავალი დებულებანი

**მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი**

1. 2021 წლის ბოლომდე აპლიკანტი შესაძლებელია იყოს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული

აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ასევე მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებული პრაქტიკოსი მასწავლებელი. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების საფუძველია იმ საგნის გამოცდის ჩაბარება, ხოლო პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება იმ საგანში, რომლის სწავლებაც სურს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია პირი ჩარიცხოს მის მიერ ჩაბარებული საგნის გამოცდის/საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების შესაბამის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე.
2. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება:

ა) პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება (ამ შემთხვევაში აუცილებელია სრული ზოგადი განათლების ქონა) და საგნის გამოცდის ჩატარების წესის შესაბამისად, ამ წესის დამტკიცებამდე წარმატებით აქვს დაძლეული საგნის გამოცდა;

ბ) პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლება და წარმატებით აქვს ჩაბარებული ,,მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებისა და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1101 ბრძანებით გათვალისწინებული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარუდგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 და სპეციალური პროგრამის შექმნამდე ყოველ მომდევნო წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს (შემდგომში – ანკეტა);

ბ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 7 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ანკეტაში ასახული ინფორმაციის სისწორეს;

გ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ანკეტის ფორმას, რომელიც განთავსდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

გ.ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების:

გ.ა.ა) სამართლებრივი ფორმა და სრული სახელწოდება;

გ.ა.ბ) იურიდიული მისამართი და პროგრამის განხორციელების ადგილი;

გ.ა.გ) ტელეფონი (ფაქსი) და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ.ა.დ) ხელმძღვანელი პირ(ებ)ის ვინაობა მათი საკონტაქტო ტელეფონების მითითებით;

გ.ბ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მიზანი და სწავლის შედეგი;

გ.გ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში;

გ.დ) ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

გ.ე) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა და ადგილების რაოდენობა საგნის გამოცდის ჩატარების წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული საგნის მიხედვით ცალ-ცალკე;

გ.ვ) სწავლის საფასური;

გ.ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა;

გ.თ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა;

გ.ი) სწავლების ენა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

გ.კ) აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები;

გ.ლ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია;

დ) საგნის გამოცდის ჩატარების წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული საგნის მიხედვით განსაზღვრული ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეცვალოს საგნის გამოცდის ჩატარების წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული თითოეული საგნის მიხედვით განსაზღვრული ადგილების რაოდენობა, ისე რომ არ შეიცვალოს ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამის წელს ვერ ჩარიცხავს აპლიკანტებს, თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში არ წარადგენს ანკეტას;

ვ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ანკეტას განათავსებს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე;

ზ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 14 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

5. 2018-2019 სასწავლო წლისთვის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს 2018 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ არსებული ფუნქციები/კომპეტენციები ვრცელდება 2019 წლამდე. 2019 წლიდან აღნიშნული ფუნქციებით/კომპეტენციებით აღჭურვილია მართვის საინფორმაციო სისტემა.

7. 2019-2020 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირთა ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ანკეტის დამოწმების მიზნით, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მართვის სისტემას წარუდგენს ანკეტის დადასტურებისთვის საჭირო ინფორმაციას, ურთიერთშეთანხმებული ფორმით, არაუგვიანეს 2019

წლის 31 აგვისტოსი.

8. 2021-2022 სასწავლო წლისთვის, იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც იმავე წლის 15 ოქტომბრამდე იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. რექტორის ერთიან აქტში მითითებული უნდა იყოს აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შესაბამის საგნის გამოცდაზე/საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებაზე აპლიკანტის საიდენტიფიკაციო კოდი, საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგანი, რომელიც წარმატებით ჩააბარა ან რომელშიც საგნობრივი კომპეტენცია დაადასტურა აპლიკანტმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულა.

9. 2021-2022 სასწავლო წლისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მართვის სისტემაში, 18 ოქტომბრის ჩათვლით, წარადგენს მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ, ელექტრონული ფორმით.

10. 2025-2026 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

ა) სპეციალურ პროგრამაში ამ წესის მე-4 მუხლის საფუძველზე ასახული, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ვალდებულია 2025 წლის 11 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით ამავე პროგრამაში ასახოს განახლებული ინფორმაცია;

ბ) უფლებამოსილია სპეციალური პროგრამის გამოყენებით აპლიკანტთა მიღება გამოაცხადოს ასევე 2025 წლის 11 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით.

11. 2025-2026 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ წესის მე-4 მუხლის საფუძველზე სპეციალურ პროგრამაში ასახული ინფორმაციის სისწორე, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, სპეციალურ პროგრამაში არსებული ღილაკის მეშვეობით, დადასტურებული იქნება მართვის სისტემის მიერ.

12. ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების მიზნებისათვის, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას მართვის სისტემისათვის, 2025 წლის 11 აგვისტომდე არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

13. 2026-2027 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ნაცვლად 2026 წლის 1 ივლისიდან 15 ივლისამდე აცხადებს აპლიკანტთა მიღებას მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

14. 2026-2027 სასწავლო წელს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე სპეციალურ პროგრამაში ასახული ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორე, ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 7 სამუშაო დღის ვადაში, სპეციალურ პროგრამაში არსებული ღილაკის მეშვეობით, დადასტურებული იქნება მართვის სისტემის მიერ.

15. ამ მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების მიზნებისათვის, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას მართვის სისტემისათვის, 2026 წლის 1 ივლისამდე არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №127/ნ - ვებგვერდი, 27.09.2016წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 2 თებერვლის ბრძანება №16/ნ - ვებგვერდი, 03.02.2017წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 8 ნოემბრის ბრძანება №50/ნ - ვებგვერდი, 08.11.2018წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის ბრძანება №147/ნ - ვებგვერდი, 15.07.2019წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №53/ნ - ვებგვერდი, 30.04.2020წ.*
*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №88/ნ - ვებგვერდი, 08.10.2021წ*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 27 მაისის ბრძანება №24/ნ - ვებგვერდი, 28.05.2025წ.*
*საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება №13/ნ - ვებგვერდი, 29.01.2026წ.*